მას შემდეგ, რაც კოლექტიურ ცენტრში დაკავებული საცხოვრებელი ფართი გადავა იძულებით გადაადგილებული პირის საკუთრებაში და როდესაც შენობა აღარ ჩაითვლება ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტად, ანუ არა სახელმწიფო საკუთრებად, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იხდის იძულებით გადაადგილებული პირის ოჯახი.

15. რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ დევნილი უარს განაცხადებს სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ფართის დაკანონებაზე?

დევნილები, რომლებიც უარს იტყვიან ფართების დაკანონებაზე გრძელვადიანი განსახლებისთვის გამოყოფილ დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში, გააგრძელებენ ცხოვრებას განკუთვნილ ფართებში. ობიექტი დაიხურება, როგორც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი, ხოლო დევნილები დარეგისტრირდებიან, როგორც კერძო სექტორის ჩასახლება. აღნიშნული დევნილები იცხოვრებენ ასეთ ობიექტში მანამ სანამ სამინისტრო არ შესთავაზებს ალტერნატივას.

ინფორმაცია დევნილთა ჩასახლებებში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დაფუძნების შესახებ

16. რას წარმოადგენს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა?

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა -მრავალბინიან სახლში მდებარე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი, მათ შორის კომერციული მიზნებისთვის გამოყენებული ფართობის მესაკუთრეთა გაერთიანებას წარმოადგენს.

17. რა მიზანს ემსახურება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა?

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის მიზანია ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების მართვა, რათა მისი განვითარება განხორციელდეს მარტივად და წევრთა ურთიერთშეთანხმებით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, უკვე მოხდა კოლექტიური ცენტრების ნაწილის დახურვა და დაკავებული ფართების საკუთრებაში გადაცემა, რაც დევნილებს აძლევს შესაძლებლობას კორპუსთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები ამხანაგობის მეშვეობით მოაგვარონ.

18. როგორ დავაფუძნოთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა დევნილთა ჩასახლებაში?

- თავდაპირველად ამხანაგობის წევრებმა უნდა მოიწვიონ კრება
- აირჩიონ თავმჯდომარე
- კრების მოწვევა ხდება წელინადში ერთხელ
- უნდა მოხდეს ამხანაგობის აღრიცხვა მუნიციპალიტეტში; (ასევე შეიძლება არ იყოს დარეგისტრირებული, თუმცა თუ დახმარებით მიმართავს მუნიციპალიტეტს მაშინ ამ უკანასკნელმა შეიძლება მოსთხოვოს ოფიციალური აღრიცხვა)
- ქ. თბილისის შემთხვევაში ამხანაგობა უნდა დარეგისტრირდეს „თბილისის კორპუსში“

დაირღვა

თქვენი უფლებები?

მიმართეთ

სახალხო დამცველს!

საქართველოს
სახალხო
დამცველი

ზუგდიდის ოფისი
კოსტავას ქ. №58

ტელ.: (+995 32) 2 23 44 99
(+995) 77 50 52 34
(+995) 99 47 38 31

www.ombudsman.ge

გამოიცა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „ადამიანური უსაფრთხოებისა და სოციალური ინტეგრაციის პროექტის“ ფარგლებში ნორვეგიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

UNDP

Empowered lives.
Resilient nations.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები

საქართველოს
სახალხო
დამცველი

1. ვინ შეიძლება ჩაითვალოს იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად?

„იძულებით გადააადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დატოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო.

2. ვის უნდა მიმართოს დევნილმა დევნილის სტატუსის მინიჭების, საცხოვრებელი ფართის გამოყოფის, ან სხვა იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული თხოვნით?

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იძულებით გადაადგილებულმა პირმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლოვილთა სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოს უნდა მიმართოს.

3. რას წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა?

სამოქმედო გეგმის მთავარ მიზანს, დევნილთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. გეგმა დაყოფილია ეტაპებად. პირველი ეტაპის მიზანია კომპაქტურად განსახლებული დევნილების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა. მეორე ეტაპის მიზანი, იმ დევნილების საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფაა, რომლებიც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში ცხოვრობენ, თუმცა სახელმწიფო არ სთავაზობს მათ გრძელვადიანი განსახლების მიზნით ამ შენობას. ეს ეტაპი ასევე ითვალისწინებს ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული დევნილების გრძელვადიან განსახლებას. რაც შეეხება მესამე ეტაპს, იგი პირველი ორი ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყება და იმ დევნილების დახმარებას ითვალისწინებს, რომლებიც გრძელვადიან განსახლებას არ საჭიროებენ.

4. კომპაქტურად განსახლებული და ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრები დევნილები

კომპაქტურად განსახლებულად ითვლებიან დევნილები, რომლებიც ცხოვრობენ კომპაქტურად განსახლების ობიექტებში. ყველა სხვა იძულებით გადაადგილებული პირი ე.წ. „კერძო სექტორში“ მცხოვრებ დევნილად ითვლება.

დევნილის სტატუსი

5. როგორ მივიღოთ დევნილის სტატუსი?

დევნილის სტატუსის მიღების მსურველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინიტროში ან მის ტერიტორიულ ორგანოში უნდა წარადგინოს შემდეგი საბუთები:

- განცხადება მინისტრის სახელზე;
- ცნობა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან;
- პირადობის მოწმობა;
- დროებით დამისამართებაზე მესაკუთრის ნოტარიული თანხმობა;
- ზემოაღნიშნული საკუთრების საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- პირადი საკუთრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო რეესტრის ამონაწერი.

ტერიტორიული ორგანო ვალდებულია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში გადაუგზავნოს სამინისტროს პირის განცხადება, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

6. შეუძლია თუ არა დევნილის სტატუსის მიღება ბავშვს, რომლის ერთ-ერთი მშობელი დევნილია?

თუკი ბავშვის ერთ-ერთ მშობელს აქვს დევნილის სტატუსი, მეორე მშობლის თანხმობით მას შეიძლება მიენიჭოს დევნილის სტატუსი. ამისათვის საჭიროა სამინისტროში შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;
- დევნილი მშობლის პირადობისა და დევნილის მოწმობის ასლები;
- მეორე მშობლის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა მასზედ, რომ თანახმაა მის შვილს მიენიჭოს დევნილის სტატუსი.

7. რა არის დევნილის მოწმობა?

დევნილის მოწმობა არის სამინისტროს ან ტერიტორიული ორგანოს მიერ დევნილზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის დევნილად ცნობას და მისთვის დევნილის სტატუსის მინიჭებას.

8. დევნილის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლებელია თუ არა მისი აღდგენა?

დევნილის მოწმობის აღდგენა შესაძლებელია, და ამისთის საჭიროა:

- ცნობა პოლიციიდან მოწმობის დაკარგვის თაობაზე;
- პირადობის მოწმობის ქსეროასლი;
- შესაბამისი განცხადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინიტროში.

დევნილის შემწეობა/საარსებო შემწეობა

9. რა სოციალური დახმარებებია გათვალისწინებული დევნილი მოსახლეობისთვის?

კერძო სექტორში დარეგისტრირებულ დევნილებს პლასტიკურ ბარათებზე ერიცხებათ ყოველთვიური შემწეობა 28 ლარი.

კომპაქტურ ჩასახლებებში დარეგისტრირებულ დევნილებს – 22 ლარი. გარდა ამისა, სამინისტრო მათ უხდის ელექტროენერგიის დანახარჯს 100 კვ ოდენობით სულზე.

10. დევნილთა ყოველთვიური შემწეობა

სახელმწიფო დევნილებს ყოველთვიურად აძლევს შემწეობას, რომელიც განისაზღვრება: არაორგანიზებულად ჩასახლებულთათვის (ე.წ. „კერძო სექტორის“ დევნილები) – 28 ლარით თვეში, ხოლო ორგანიზებულად (კომპაქტურად) ჩასახლებულთათვის – 22 ლარით თვეში.

11. საარსებო შემწეობა

საარსებო შემწეობის მიღების უფლება აქვს ოჯახს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

საარსებო შემწეობის დასანიშნად ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა ან ოჯახის კანონიერმა წარმომადგენელმა განცხადებით უნდა მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს. საარსებო შემწეობა განისაზღვრება ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. ერთსულიანი ოჯახისთვის დადგენილი 30 ლარი, რომელსაც მეორე და ოჯახის ყოველ მომდევნო წევრზე ემატება 24 ლარი.

12. შესაძლებელია თუ არა საარსებო შემწეობის და დევნილთა ყოველთვიური შემწეობის ერთდროულად მიღება?

ოჯახს უფლება აქვს აირჩიოს ორიდან ერთ-ერთი, ყოველთვიური ან საარსებო შემწეობა. საარსებო შემწეობის მიღება გამორიცხავს დევნილის ყოველთვიური შემწეობის მიღებას.

პრივატიზაციის პროცესი

13. რა ეტაპებს ითვალისწინებს კომპაქტური განსახლების ობიექტის პრივატიზაციის პროცესი?

პრივატიზების პროცესი გულისხმობს კოლექტიურ ცენტრში მცხოვრები დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემას. პრივატიზების პროცესი ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს:

- სამინისტროს მიერ უნდა დადგინდეს რამდენად ვარგისი იქნება შენობა დევნილებისათვის მუდმივ საცხოვრებლად;
- შენობაში უნდა ჩატარდეს შიდა აზომვითი სამუშაოები;
- სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ უნდა მოხდეს კომპაქტურ ცენტრში ფაქტობრივად მცხოვრები დევნილების რეგისტრაცია;
- უნდა მოხდეს უფლებამოსილი იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ნასყიდობის კონკრეტული წინადადების შეთავაზება;
- უნდა მოხდეს დევნილის მიერ დაკავებული ფართის საკუთრებაში მიღების თანხმობის დაფიქსირება, და სახელმწიფოსა და დევნილს შორის შესაბამისი სტანდარტული ხელშეკრულების ხელმოწერა;
- საჯარო რეესტრის სააგენტო დაარეგისტრირებს შესაბამის საცხოვრებელ ფართს, როგორც იძულებით გადაადგილებული პირის საკუთრებას და კანონის თანახმად გასცემს ამონაწერს საჯარო რეესტრიდან;
- მესაკუთრე იძენს ქონებასთან დაკავშირებულ ყველა უფლებას და მოვალეობას, ქონების გასხვისების უფლების ჩათვლით, მაგრამ მესაკუთრე ასევე ინარჩუნებს ვალდებულებას ოჯახის წევრები უზრუნველყოს თავშესაფრით.

14. იხდის თუ არა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იძულებით გადაადგილებული პირი, რომელმაც მოახდინა საცხოვრებელი ფართის პრივატიზაცია?

საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს

მონაცემები განმცხადებლის შესახებ

სახელი: _____

გვარი: _____

მისამართი: ქალაქი (რაიონი): _____ ქუჩა: _____ № _____

ტელეფონი: _____ ელ-ფოსტა: _____

განცხადება

_____ თარიღი: _____ წელი, თვე, რიცხვი

განმცხადებლის ხელმოწერა: _____